ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმება

ქ. თბილისი _____ 05 აპრილი 2019 წელი

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1.	**ინფორმაციის გამცემი:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	შპს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	404476205
1.1.1.2.	იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N40
1.1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. N2
1.1.1.4.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.5.	სახელი და გვარი:	ირაკლი გოგია
1.1.1.6.	თანამდებობა/სტატუსი:	უფლებამოსილი პირი
1.1.1.7.	საკონტაქტო მონაცემები:	
1.1.1.7.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	
1.1.1.7.2.	თანამდებობა/სტატუსი:	
1.1.1.7.3.	ტელეფონი:	+995 32 2550505
1.1.1.7.4.	ფაქსი:	
1.1.1.7.5.	ელფოსტა:	evex_purchasing@evex.ge
1.2.	**კლიენტი:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს „დანი ქონსთრაქშენი;
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	405134741;
1.2.1.2.	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:	თბილისი, ირ. აბაშიძის 17, ბ. 19;
1.2.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	თბილისი, ნ. რამიშვილის 3ა;
1.2.1.4.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.4.1.	სახელი და გვარი:	ნიკოლოზ კეცხოველი;
1.2.1.4.2.	პირადი ნომერი:	01008024394;
1.2.1.4.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;
1.2.1.4.4.	საკონტაქტო მონაცემები:	
1.2.1.5.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	გივი სირბილაძე;
1.2.1.5.1.	თანამდებობა/სტატუსი:	პროექტის მენეჯერი;
1.2.1.5.2.	ტელეფონი:	599 776006;
1.2.1.5.3.	ფაქსი:	
1.2.1.5.4.	ელფოსტა:	g.sirbiladze@daniconstruction.ge; info@daniconstruction.ge

2. **დეფინიციები**

თუ **შეთანხმებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **შეთანხმებაში** ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **ანგარიში** – განკში არსებული **კლიენტისა და ინფორმაციის გამცემის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.2. **განცხადებები და გარანტიები** – **შეთანხმების** მე-5 **მუხლში** მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები;

2.3. **დამატებითი პირობები** – **შეთანხმების** **დანართ** N1-ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით;

2.4. **დანართი** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული **შეთანხმების** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების** დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს **შეთანხმების** ან **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;

2.5. **ინფორმაციის** **გამცემი** **მხარე** - **მხარე**, რომელიც ამჟღავნებს **ინფორმაციას**;

2.6. **კლიენტი** – **ინფორმაციის** **მიმღები** **მხარე**, რომელიც მეორე **მხარისგან** იღებს **ინფორმაციას**;

2.7. **ინფორმაცია** – **ინფორმაციის** **გამცემი** **მხარის** ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემები ან ჩანაწერები, რომლებიც ნაბეჭდი, ტექსტური, წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური სახით იქნება წარდგენილი, გადაცემული, გაგზავნილი ან მიწოდებული **ინფორმაციის** **მიმღები** **მხარისთვის** კომპიუტერის დისკეტების, კომპაქტური დისკების, ნებისმიერი სახის კომპიუტერული ფაილების ან სხვა რაიმე აუდიო-ვიზუალური, ინფორმაციის მატერიალური თუ არამატერიალური მატარებლის საშუალებით;

2.8. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

2.9. **კლიენტი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **შეთანხმების** 1.2. **პუნქტში**;

2.10. **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულება** (ან **შეთანხმებასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულება**) – **შეთანხმების** საფუძველზე და მის შესაბამისად **ინფორმაციის** **გამცემს** და **კლიენტს**, ან **ინფორმაციის** **გამცემს**/**კლიენტსა** და **მესამე** **პირს** შორის დადებული ხელშეკრულება ან/და სხვა დოკუმენტები, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია **შეთანხმებით** ან/და ხდება მის საფუძველზე;

2.11. **მესამე** **პირი** – ნებისმიერი **პირი** გარდა **ინფორმაციის** **გამცემისა** ან/და **კლიენტისა**;

2.12. **მხარე**/**მხარეები** – **ინფორმაციის** **გამცემი** ან/და **კლიენტი** (კონტექსტის შესაბამისად);

2.13. **პირი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს;

2.14. **დღე** – დღე (შაბათის, კვირის ან **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა),

2.15. **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **მხარეთათვის** გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული **მხარეების** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **შეთანხმების** ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **შეთანხმებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე;

2.16. **შეთანხმება** – **მხარეთა** შორის დადებული წინამდებარე შეთანხმება ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ;

2.17. **შვილობილი** **კომპანია** – **პირთან** მიმართებაში, ნებისმიერი სხვა კომპანია, რომლის წილის, აქციების ან/და ხმების არანაკლებ 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, ან რომელსაც სხვაგვარად მართავს აღნიშნული **პირი**.

3. **შეთანხმების** **საგანი**

3.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ საკუთრებაში არსებული ქუთაისის რეფერალური საავადმყოფოს სარეკონსტრუქციო, სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების შესრულების (შემდგომში – **თანამშრომლობის** **საგანი**) თაობაზე გარიგების დადების მიზნით, **მხარეები** **შეთანხმებით**

3.2. **ინფორმაციის** კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება **ინფორმაციის მიმღები მხარისთვის** მისი მიწოდებიდა, 2019 წლის 31 დეკემბერამდე, მიუხედავად იმისა **შეთანხმება** ძალაშია თუ არა.

3.3. **ხელშეკრულების** დადებასთან და შესრულებასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი სახის ხარჯის დაკისრების საკითხს **მხარეები** წყვეტენ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4. **ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის წესი და პირობები**

4.1. **ინფორმაცია** წარმოადგენს **ინფორმაციის გამცემი მხარის** ერთპიროვნულ და ექსკლუზიურ საკუთრებას;

4.2. **ინფორმაციის მიმღები მხარე** ვალდებულია **ინფორმაცია** ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ მისი იმ თანამშრომლებისთვის, **შვილობილი კომპანიებისთვის** ან სხვა აფილირებული პირებისათვის, რომელთათვისაც აუცილებელია მისი ცოდნა **შეთანხმების 3.1. პუნქტით** განსაზღვრული მიზნობრიობის უზრუნველსაყოფად.

4.3. **ინფორმაციის მიმღებ მხარეს** უფლება არა აქვს **ინფორმაცია** გაამჟღავნოს (ნებისმიერი ფორმით და საშუალებით საჯაროდ გამოაქვეყნოს ან გაავრცელოს) ან **შეთანხმების 3.1. პუნქტით** განსაზღვრული მიზნობრიობის დარღვევით გამოიყენოს იგი;

4.4. **ინფორმაციის მიმღები მხარე** ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი და ყველა ის მითითება, რომელიც შესაძლოა გასცეს **ინფორმაციის გამცემმა მხარემ** იმ საშუალებებთან დაკავშირებით, რომელთა მეშვეობითაც **ინფორმაციის მიმღებ მხარეს** შეეძლება გამოიყენოს **ინფორმაცია**;

4.5. **შეთანხმების** ნებისმიერი სახით შეწყვეტის შემთხვევაში ან **ინფორმაციის გამცემი მხარის** მოთხოვნის საფუძველზე, **ინფორმაციის მიმღები მხარე** ვალდებულია გონივრულ ვადაში დაუბრუნოს **ინფორმაციის გამცემ მხარეს ინფორმაციის** ყველა ეგზემპლარი, ყველა სახის მატერიალური და არამატერიალური ასლი ან/და ნაბეჭდი ვერსია, რომელსაც **ინფორმაციის მიმღები მხარე** ფლობს;

4.6. **შეთანხმებით** განსაზღვრული, კონფიდენციალობასთან დაკავშირებული ვალდებულებები არ ვრცელდება იმ **ინფორმაციაზე**:

4.6.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი **ინფორმაციის მიმღები მხარისთვის ინფორმაციის გამცემი მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

4.6.2. რომელიც არის, ან გახდება **მესამე პირისთვის** ხელმისაწვდომი **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.

4.6.3. რომლის გამჟღავნებაც მოხდება მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო/საარბიტრაჟო სასამართლო, (ხოლო **ინფორმაციის გამცემის** შემთხვევაში, იმ საფონდო ბირჟის მოთხოვნების მიხედვით და დაცვით, სადაც ივაჭრება მისი ბენეფიციარი მფლობელის აქციები) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

4.6.4. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან.

5. **განცხადებები და გარანტიები**

5.1. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

5.1.1. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);

5.1.2. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

5.1.3. მომავალში **დანართის** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

5.1.4. **შეთანხმება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, **ინფორმაციის გამცემის** ან **მესამე პირის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

5.1.5. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), **საკანონმდებლო** ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

5.1.6. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებას;

5.1.7. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

5.1.8. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი **შეთანხმების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

5.1.9. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ინფორმაციის გამცემის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ინფორმაციის გამცემისთვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

5.2. **კლიენტის** აღნიშნული **განცხადებები და გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

5.3. **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ინფორმაციის გამცემს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან და გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **კლიენტის** აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

5.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ინფორმაციის გამცემი** მხოლოდ **კლიენტის** ზემოაღნიშნული **განცხადებების და გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **შეთანხმებას** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებას**.

6. **მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები**

6.1. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **მხარეები**:

6.1.1. უფლებამოსილნი არიან სრულად და ჯეროვნად ისარგებლონ **შეთანხმებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებებით;

6.1.2. მოვალენი არიან სრულად და ჯეროვნად შეასრულონ **შეთანხმების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვალდებულებები.

7. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

7.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

7.2. ამასთან, **კლიენტი** პასუხს აგებს **შეთანხმებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით **ინფორმაციის გამცემისთვის** მიყენებულ ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე (ზარალზე), ხოლო ზარალის ანაზღაურება **კლიენტს** არ ათავისუფლებს **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

7.3. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

7.4. **მხარე**, რომელსაც დაუდგა **ფორს-მაჟორი**, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) **დღისა**, აცნობოს მეორე **მხარეს** შესაბამისი **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორის** არსებობას, რომელიც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობაზე ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების მეორე **მხარისთვის** გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

7.6. თუ **ფორს-მაჟორის** მოქმედება, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში **მხარეებმა** უნდა გადაწყვიტონ **შეთანხმების** ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში **შეთანხმება** ძალადაკარგულად ჩაითვლება.

7.7. მიუხედავად **შეთანხმების 7.1.** და **7.2. პუნქტებით** განსაზღვრული გარანტიებისა, **კლიენტის** მიერ **შეთანხმებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ინფორმაციის გამცემის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ინფორმაციის გამცემის** სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ:

7.7.1. იმოქმედოს **კლიენტის** სახელით და ხარჯზე, შესაბამისად, ამ მიზნით გამოვიდეს **მესამე პირთან** (მათ შორის საჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში, დადოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, მიმართვას, განცხადებას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს და რომ **ინფორმაციის გამცემის** აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება არ არის დამოკიდებული **კლიენტის** არანაირ დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე ან/და მინდობილობაზე და ეს უფლებამოსილება **მესამე პირთან** (მათ შორის საჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში არ შეიძლება შეიზღუდოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ინფორმაციის გამცემის** აღნიშნული უფლებამოსილების უზრუნველყოფის მიზნით **კლიენტი** ვალდებულია **ინფორმაციის გამცემის** წერილობით ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ინფორმაციის გამცემის** მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დამატებით გასცეს შესაბამისი მინდობილობა **ინფორმაციის გამცემზე** ან/და **ინფორმაციის გამცემის** მოთხოვნითვე განსაზღვრულ **პირზე**, რომელთა ქმედებაზეც პასუხისმგებელი თავად **ინფორმაციის გამცემი** იქნება. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ აღნიშნული მინდობილობის გაუცემლობა, არსებობა ან გაუქმება (ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) არ გამორიცხავს და არ აუქმებს მინდობილობით უზრუნველყოფილ **ინფორმაციის გამცემის** ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას, ხოლო **კლიენტის** მიერ მინდობილობის **ინფორმაციის გამცემის** წინასწარი თანხმობის გარეშე გაუქმება (ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) წარმოადგენს **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევას;

8. **ანგარიშსწორება**

8.1. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოებს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

8.2. **შეთანხმებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, პირგასამტეხლოს მოთხოვნის დღიდან და სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო **დღე**.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

8.4. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.

9. **კომუნიკაცია მხარეთა შორის**

9.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისთვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით, ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისთვის** შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, იმ პირობით, რომ მეორე **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

9.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

9.2.1 კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნიდან 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში;

9.2.2 ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე **დღეს**.

9.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

9.4. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

10. **პრეტენზიები და დავები**

10.1. **შეთანხმებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

10.2. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ინფორმაციის გამცემის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11. **შეთანხმების მოქმედება და შეწყვეტა**

11.1. **შეთანხმება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **შეთანხმების 3.1. პუნქტით** განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

11.2. **შეთანხმებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

11.2.1. **ინფორმაციის გამცემის** მიერ: ა) **კლიენტის** მხრიდან **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის, ფულადი ვალდებულების, **განცხადებების და გარანტიების**, ნებისმიერი პირობის ან/და სხვა ვალდებულების) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ან ბ) თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

11.2.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

11.2.3. **შეთანხმებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევები, წინააღმდეგობაში არ მოდის **შეთანხმებასთან**.

11.3. **ინფორმაციის გამცემი** უფლებამოსილია **შეთანხმების 11.2.1.** და **11.2.3. ქვეპუნქტებით** გათვალისწინებული პირობების არსებობისას ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **შეთანხმება** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება** **კლიენტისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, **კლიენტის** მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამავე შეტყობინებით **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივი შეწყვეტის სხვა ვადა ან/და პირობები არ არის განთავისუფლებული.

ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **შეთანხმებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **შეთანხმება** უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ინფორმაციის გამცემი** მიზანშეწონილად მიაჩნია **შეთანხმების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **შეთანხმება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.

11.5. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს** **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

11.6. თუ **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

12. ცვლილებები და დამატებები

12.1. **შეთანხმებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.

12.2. **შეთანხმებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების** **დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.

13. სხვა პირობები

13.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **შეთანხმების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **შეთანხმების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

13.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **შეთანხმების**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **შეთანხმებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

13.3. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **შეთანხმების**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **შეთანხმების**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

13.4. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

13.5. **შეთანხმებაში** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

13.6. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

13.7. **შეთანხმებაში** ან/და **მასთან** **დაკავშირებულ** **სხვა** **ხელშეკრულებში** გამოქებული ტექსტი მოყვანილია განმარტებულ ტერმინთა გამოსაყოფად, მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **შეთანხმების** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

13.8. **შეთანხმების** დანართ(ებ)სა და **მასთან** **დაკავშირებულ** **სხვა** **ხელშეკრულებაზე** სრულად ვრცელდება **შეთანხმების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **შეთანხმების** და **ხელშეკრულების** **დანართსა** თუ **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი დანართ(ებ)ის და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი დანართ(ებ)ი თუ **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულები**.

13.9. **შეთანხმება** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულები** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **შეთანხმების** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების** ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

13.10. **კლიენტს** უფლება არა აქვს **ინფორმაციის** **გამცემის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე** **პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **შეთანხმებით** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულებით** (მათ შორის, მათი **დანართით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **ინფორმაციის** **გამცემის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ **კლიენტმა** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს **ინფორმაციის** **გამცემის** უფლებას მიიღოს **მესამე** **პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა **კლიენტი**.

13.11. **შეთანხმება** განიმარტება და რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **შეთანხმებით** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

13.12. **შეთანხმება** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **შეთანხმება** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულება** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **შეთანხმების** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **შეთანხმების** ან/და **მასთან** **დაკავშირებული** **სხვა** **ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

13.13. **შეთანხმების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა **მხარეებს**.

14. მხარეთა ხელმოწერები

ინფორმაციის გამცემი

/_____/

კლიენტი

/_____/

"DANI CONSTRUCTION" LTD
DANI CONSTRUCTION
405134741